

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მომჩივანი: შპს „ჯ...ი“ (ს/ნ ...)

შემმოწმებელი: საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ, დ. გაბლიშვილის (სხდომის თავმჯდომარე), მ. ადგიშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. ბოლოთაშვილის, დ. გახარას, შ. გვენეტაძის, გ. თინიკაშვილის, შ. კომლაძის, დ. რუხაძის, გ. ფერაძის შემადგენლობით, 6.11.2019 წელს განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება შპს „ჯ...ის“ 5.08.2019 წელს რეგისტრირებულ საჩივარზე.

დავის საგანი:

იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება არასწორად გამოყენებული გადაადგილების სერტიფიკატის გამო

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

1. საბაჟო დეპარტამენტის 22.05.2019 წლის №007-184 საგადასახადო მოთხოვნა;
2. საბაჟო დეპარტამენტის 22.05.2019 წლის №16096 ბრძანება;
3. შემოსავლების სამსახურის 16.07.2019 წლის №23669 ბრძანება.

დარიცხული თანხა: 24896 ლარი;

დღგ - 1786 ლარი;

იმპორტის გადასახადი - 9921 ლარი;

ჯარიმა - 11707 ლარი;

საურავი - 1482 ლარი.

ფაქტების აღწერა

მომჩივანის მიერ უკრაინიდან №11111/C54963 (13.06.18) საბაჟო დეკლარაციით საქართველოში იმპორტირებულია 9000 კგ. ყავა, ..., რომლის ღირებულება შეადგენს 32400 აშშ დოლარს. გადამხდელს საბაჟო დეკლარაციაში გამოყენებული ჰქონდა უკრაინის უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული №GE81200F4687 (1750189) 30.05.18

გადაადგილების (წარმოშობის) სერტიფიკატი CT-1, რის საფუძველზეც შემოტანილი საქონელი გათავისუფლდა იმპორტის გადასახადისაგან. იმპორტის გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმების მიზნით, CT-1 გადაადგილების სერტიფიკატის ნამდვილობა და სიზუსტე გადამოწმდა ექსპორტიორ ქვეყანაში 2018 წლის 25 სექტემბრის №21-10/120866 წერილით. 2019 წლის 6 თებერვალს უკრაინის საბაჟო უწყებიდან მიღებულია №24211/21-10 საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათ მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, ექსპორტიორმა კომპანიამ ვერ წარადგინა საქონლის უკრაინული წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისად, ანულირებულია ზემოთ ხსენებული სერტიფიკატი №GE81200F4687.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადამხდელის მიერ CT-1 გადაადგილების სერტიფიკატი არასწორად იქნა გამოყენებული, რამაც გამოიწვია იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება. შესაბამისად, მომჩივანს დამატებით გადასახდელად დაერიცხა იმპორტის გადასახადი 9921 ლარი, დღგ 1786 ლარი, ხოლო სანქცია ჯარიმის სახით შეეფარდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად 11707 ლარი.

შემოწმების შედეგებზე შედგენილია საბაჟო დეპარტამენტის საქონლის შემდგომი შემოწმების 21.05.2019 წლის №ა50-21-10 აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა საბაჟო დეპარტამენტის 22.05.2019 წლის №16096 ბრძანება და ამავე თარიღის №007-184 საგადასახადო მოთხოვნა, რომელიც 1.06.2019 წელს გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში და 16.07.2019 წლის №23669 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია

სსკ-ის 207-ე მუხლის მიხედვით საბაჟო ზედამხედველობა არის შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დაცვა. დეკლარირებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით საბაჟო კონტროლი ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილია.

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილია, რომ საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საგადასახადო ორგანო ახორციელებს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდებას იდენტიფიკაციის საშუალებით, როცა ეს აუცილებელია მისი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის, თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილია საქონლის შემოტანის, გატანის და გაფორმების წესები, რომლის მიხედვით საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი გაფორმებიდან საქონლის გატანამდე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლით დადგენილია გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით გადასახადის გადამხდელი ვალდებულია: შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით; შეასრულოს საგადასახადო ორგანოს და მისი უფლებამოსილი პირის კანონიერი მოთხოვნები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხელი არ შეუშალოს ამ უფლებამოსილ პირს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში; საგადასახადო ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საგადასახადო

დეკლარაციები, გაანგარიშებები და სააღრიცხვო დოკუმენტები; შეასრულოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

სსკ-ს 289-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება დეკლარანტის (ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულის გარდა) ან მისი წარმომადგენლის მიერ იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

სსკ-ს 266-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება გამოიყენება დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირის მიმართ, თუ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების საფუძვლებია:

ა) ლურჯი დერეფნით დასრულებული საბაჟო დეკლარაცია;

ბ) დეკლარანტის წერილობითი განცხადება (გარდა ამ ინსტრუქციის 41 – ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თუ მის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ გაშვებული საქონლის სახეობების რაოდენობა ან/და საქონლის რაოდენობა ან/და საქონლის ღირებულება ან/და საქონლის საბაჟო ღირებულება ან/და გადასახდელების თანხის ოდენობა ნაკლებია საბაჟო დეკლარაციაში და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებულ შესაბამის მონაცემებზე;

გ) საგადასახადო ორგანოში არსებულ მონაცემთა ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, დადგენილი წესით მოთხოვნილი და მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია;

დ) სამართალდამცავი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილება ან/და ინფორმაცია.

ამავე ინსტრუქციის 113-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 114-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. საქონლის გაშვების შემდგომი კამერალური შემოწმება (შემდგომში – კამერალური შემოწმება) ტარდება პირის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო ორგანოში არსებული საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე. კამერალური შემოწმება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე კომპლექსური შემოწმების დროს. კამერალური შემოწმების ჩატარებისას, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს საქონლის საბაჟო ღირებულება ან/და დეკლარანტის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით.

საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის №420 დადგენილების მე-2

მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საქონლის წარმოშობის ქვეყანას. თუ საგადასახადო ორგანო ეჭვს შეიტანს საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნამდვილობაში ან მასში აღნიშნული მონაცემების სისწორეში, მას შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მისაღებად.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოტანისას გადასახადების დაანგარიშებისა და დარიცხვის თავდაპირველი საფუძველია გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო/საბაჟო დეკლარაცია, რომელშიც გადამხდელი ვალდებულია, რომ მიუთითოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია, მათ შორის პრეფერენციული წარმოშობის დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, იგი უნდა იყოს გაცემული კანონის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ. შემოსავლების სამსახური აკონტროლებს საქონლის წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სისწორეს და იმ შემთხვევაში, თუ ეჭვს შეიტანს ამ ინფორმაციის სიზუსტეში, იგი უფლებამოსილია გადაამოწმოს დოკუმენტები სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოსთან.

CT-1 პრეფერენციული წარმოშობის დოკუმენტების სისწორის გადამოწმების მიზნით საბაჟო დეპარტამენტის მიერ უკრაინის სახელმწიფო ფისკალური სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მომჩივანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორის შესახებ. საქმეში წარმოდგენილია 2019 წლის 6 თებერვალს უკრაინის საბაჟო უწყებიდან მიღებული №24211/21-10 საპასუხო წერილი რომლის თანახმადაც, ჩატარებული შემოწმების შედეგად, ექსპორტიორმა ქკომპანია ვერ წარადგინა საქონლის უკრაინული წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისად, ანულირებული იქნა მომჩივანის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატი №GE81200F4687. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანის მიერ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი არასწორად იქნა გამოყენებული, რამაც გამოიწვია იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება.

შესაბამისად, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმებით გადამხდელს კანონის სრული დაცვით დაერიცხა იმპორტის ძირითადი გადასახდელები და შეეფარდა ჯარიმა საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირებისათვის, რომლისთვისაც პაუზისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-4 ნაწილით, შესაბამისად საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მომჩივანის არგუმენტაცია

მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს საგადასახადო სანქციაზე, რომელიც გამოყენებულ იქნა დეკლარანტის მიმართ და აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის სსკ-ს 289-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება დეკლარანტის (ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულის გარდა) ან მისი წარმომადგენლის მიერ – იწვევს პირის დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

გარდა ამისა, მომჩივანი მიუთითებს, რომ ამავე კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

საგადასახადო სამართალდარღვევა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა სპეციფიკურ სახეს, შესაბამისად მის მიმართ სრულად ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობის მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის მონაწილის სამართალდამრღვევად მიჩნევა, ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენა და სამართალდარღვევისთვის სანქციის შეფარდება აუცილებლად მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებათა გამოკვლევა-დადგენასა და შეფასებას. ადმინისტრაციული პასუხის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის პირობებში შეიძლება პირს შეეფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, რომლის დადების ზოგადი წესების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ხოლო სახდელის დადებისას შეფასების საგანს წარმოადგენს ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის-კანონიერების პრინციპის ზედმიწევნით დაცვის საფუძველზე.

საგადასახადო კოდექსის 289.4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის, შეუძლებელი და შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო იქნება პირის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებული აქტების გამოცემისას არ უმსჯელია არის თუ არა სახეზე ისეთი ობიექტური გარემოება, რამაც შეიძლება გამორიცხოს მეწარმის ბრალეულობის საკითხი, რადგან პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემადგენლობა სახეზე არ არის. მხოლოდ ამ ფაქტების გამოკვლევა-დადგენის შემდეგ მეწარმეს შეიძლება დაეკისროს ან არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.

საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა დადგინდეს მომჩივანი მოქმედებდა თუ არა კეთილსინდისიერად, კერძოდ: საბაჟო დეპარტამენტი და შემოსავლების სამსახური გასაჩივრებული გადაწყვეტილებების თანახმად თავად აღიარებენ, რომ გადამხდელმა საბაჟო დეკლარაციაში მიუთითა და გამოიყენა უკრაინის უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული

№GE1200F4687 (1750189) 30.05.18 გადაადგილების (წარმოშობის) სერტიფიკატი CT-1, რის საფუძველზეც შემოტანილი საქონელი გათავისუფლდა იმპორტის გადასახადისაგან.

სსკ-ის 228.1. მუხლის თანახმად იმპორტისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, დეკლარანტი უფლებამოსილია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას თუ: იგი წარადგენს წარმოშობის სერტიფიკატს, რომელიც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას.

ამავე კოდექსის 2.1. მუხლის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ და ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ამ კოდექსის მიმართ.

საქართველოს მთავრობას და უკრაინის მთავრობას შორის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1995 წლის იანვრის შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ ოქმის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1582-რს დადგენილებით) მე-2 პუნქტის თანახმად: ამ შეთანხმების მიზნებისათვის და მისი მოქმედების პერიოდისათვის ხელშემკვრელ მხარეთა სახელმწიფო ტერიტორიიდან წარმოშობილი საქონლის განსაზღვრისას, ხელშემკვრელი მხარეები იხელმძღვანელებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბერს, ქ. მინსკში ხელმოწერილი გადაწყვეტილებით - საქონლის წარმოშობის სახელმწიფოს განსაზღვრის წესის შესახებ და მხარეთა სახელმწიფო ტერიტორიებიდან წარმოშობილი საქონლის გადაადგილებისას გამოიყენებენ საქონლის წარმოშობის CT-1 სერტიფიკატის ფორმას.

სსკ-ის 270-ე საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. ამასთან, საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სსკ-ის 272-ე მუხლის მიხედვით საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის. ამასთან, საურავის დარიცხვა ხორციელდება გადასახადის თანხაზე და იგი არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ შესრულებულ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საურავის დარიცხვა ხორციელდება თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.

სსკ-ის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილი გადასახადის გადამხდელის სანქციის გადახდისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როცა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები წარმოშობს საფუძველს, რომ გადასახადის გადამხდელი კეთილსინდისიერად

ცდება, ან არ არის მისთვის ცნობილი ისეთი გარემოება, რამაც მისი პასუხისმგებლობა გამოიწვია.

ამ კუთხით გასათვალისწინებელია, რომ ფაქტობრივად გადამხდელმა 2018 წლის 13 ივნისის საბაჟო დეკლარაციით განახორციელა იმპორტი, რა დროსაც ისარგებლა კომპეტენტური ორგანოს მიერ 2018 წლის 30 მაისს გაცემული CT-1 სერტიფიკატით, ხოლო ის ფაქტი, რომ CT-1 სერტიფიკატი ანულირებული იყო დადგინდა 2019 წლის 6 თებერვლის უკრაინის საბაჟო უწყებიდან შემოსული წერილით, შესაბამისად დეკლარანტის ბრალეულ ქმედებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, დეკლარანტმა კეთილსინდისიერად შეასრულა კანონისმიერი ვალდებულებები.

გარდა ამისა, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება დაიწყო 2018 წლის 25 სექტემბრის №21-10/120866 წერილის გაგზავნით, რომლითაც მოთხოვნილი იყო გადაადგილების სერტიფიკატის ნამდვილობის გადამოწმება, ხოლო საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტი შედგენილია 2019 წლის 21 მაისს.

გადამხდელი აღნიშნავს, რომ დეკლარანტისთვის დაკისრებული იმპორტის გადასახადის დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო საკითხის ირგვლივ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია კანონით დადგენილი ვალდებულება, სრულად გამოეკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ მშრალად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არც კი უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ შესაძლებელი იყო ანულირებული სერტიფიკატის (რომლითაც დეკლარანტმა ისარგებლა საშეღავათო პირობებით) ვერიფიკაცია უკრაინის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, ექსპორტიორმა ooo „п...д“, მიმართა უკრაინის საბაჟო უწყებას და მოითხოვა №GE81200F4687 ანულირებული სერტიფიკატის ვერიფიკაცია, რის დამადასტურებელ მტკიცებულებასაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ხოლო ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

აღნიშნული გარემოებებისა და ფაქტების შესაბამისად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის (აქტების) გამოცემა მოხდა კანონის დარღვევით, რაც ქმნის მათი ბათილად ცნობის საფუძველს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

დავების განხილვის საბჭო

მხარეთა არგუმენტაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 228-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,

1. იმპორტისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი, გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და გადაიხდევენ იმპორტის გადასახდელები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დეკლარანტი უფლებამოსილია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენება, თუ:

გ) იგი წარადგენს წარმოშობის სერტიფიკატს, რომელიც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას.

ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მე-7 ნაწილების თანახმად,

1. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

7. გადასახადით დაბეგრასთან დაკავშირებულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ და ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ამ კოდექსის მიმართ.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებით დამტკიცებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქონლის წარმოშობის ქვეყანა განისაზღვრება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარების მიზნით. (შენიშვნა: საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას ნიშნავს, რომ წარმოშობის ქვეყნის დადგენა ხორციელდება საქონლის პირველივე სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის დროს. იმ შემთხვევაში, თუ ამ მომენტისათვის წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება საქონლის პრეფერენციული წარმოშობა, საქონელი ექცევა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში. საქონლის ახალ სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას წარმოშობის ქვეყნის განმეორებით დადგენა არ ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულის თაობაზე დეკლარანტი თხოვნით მიმართავს საგადასახადო ორგანოს და წარადგენს დამატებით დოკუმენტებს).

ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად,

1. საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საქონლის წარმოშობის ქვეყანას.

2. თუ საგადასახადო ორგანო ექვს შეიტანს საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნამდვილობაში ან მასში აღნიშნული მონაცემების სისწორეში, მას შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მისაღებად.

3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადასტურება ხდება ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატით, ხოლო გატანისას – საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტის მიხედვით,

გადამხდელს უკრაინიდან №11111/C54963 (13.06.18) საბაჟო დეკლარაციით საქართველოში ყავის იმპორტისას გამოყენებული აქვს უკრაინის უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული გადაადგილების (წარმოშობის) სერტიფიკატი CT-1, რომლის ნამდვილობა და სიზუსტე გადამოწმდა ექსპორტიორ ქვეყანაში და დადგინდა, რომ ვინაიდან ექსპორტიორმა კომპანიამ ვერ წარადგინა საქონლის უკრაინული წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ანულირებულია ზემოთ ხსენებული სერტიფიკატი.

საჩივრის თანახმად, დეკლარანტის ბრალეულ ქმედებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, დეკლარანტმა კეთილსინდისიერად შეასრულა კანონისმიერი ვალდებულებები. სადავო საკითხის ირგვლივ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია კანონით დადგენილი ვალდებულება, სრულად გამოეკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, არც კი უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ შესაძლებელი იყო ანულირებული სერტიფიკატის (რომლითაც დეკლარანტმა ისარგებლა საშელავათო პირობებით) ვერიფიკაცია უკრაინის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ექსპორტიორმა ooo „п...д“, მიმართა უკრაინის საბაჟო უწყებას და მოითხოვა №GE81200F4687 ანულირებული სერტიფიკატის ვერიფიკაცია, რის დამადასტურებელ მტკიცებულებასაც, შესაბამისი სერტიფიკატის ასლს, წარმოადგენს.

საბაჟო დეპარტამენტის 13.08.2019 წლის №97570-21-10 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანიამ №11111/C54963 (13.06.18) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით უკრაინიდან განახორციელა 32400 აშშ დოლარის ღირებულების 9000 კგ. ყავის („...“) იმპორტი საქართველოში. გადამხდელმა სსდ-ში გამოიყენა უკრაინის უფლებამოსილი სამსახურის მიერ 2018 წლის 30 მაისს გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (CT-1) №GE81200F4687 (1750189), რის საფუძველზეც დეკლარირებული საქონელი გათავისუფლდა საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი 12%-იანი იმპორტის გადასახადისაგან. იმპორტის გადასახდელების დარიცხვის სისწორის დასადგენად, CT-1 წარმოშობის სერტიფიკატის ნამდვილობა და სიზუსტე გადამოწმდა ექსპორტიორ ქვეყანაში (წერილი №21-10/120866, 25.09.18). 2018 წლის 6 თებერვალს უკრაინის საბაჟო უწყებიდან მიღებული №24211/21-10 საპასუხო წერილით გაირკვა, რომ ჩატარებული შემოწმების შედეგად ექსპორტიორმა კომპანიამ (ООО „п...д“) ვერ წარადგინა საქონლის უკრაინული წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, უკრაინის უფლებამოსილმა სამსახურმა გააუქმა მის მიერ ადრე გაცემული სერტიფიკატი №GE81200F4687. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადამხდელმა არასწორად გამოიყენა CT-1 წარმოშობის სერტიფიკატი, რამაც გამოიწვია იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ექსპორტიორ ქვეყანაში CT-1 გადაადგილების სერტიფიკატი ანულირებულია, ხოლო მომჩივანი წარმოადგენს ვერიფიცირებული სერტიფიკატის ასლს, საბჭოს მიაჩნია, რომ გადასახადის გადამხდელმა წამოდგენილი მტკიცებულების დედანი უნდა წარუდგინოს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს, ხოლო საბაჟო დეპარტამენტმა შეისწავლოს წარდგენილი დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში გადაამოწმოს მისი ნამდვილობა ექსპორტიორ ქვეყანაში და შესწავლის შედეგების მიხედვით სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება (შემცირება).

საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

1. საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს შემოსავლების სამსახურის 16.07.2019 წლის №23669 ბრძანება;
3. დაევალოს მომჩივანს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში საბაჟო დეპარტამენტს წარუდგინოს სადავო (ვერფიკაციის შემდეგ გაცემული) სერტიფიკატის დედანი;
4. დაევალოს საბაჟო დეპარტამენტს, დეტალურად შეისწავლოს მომჩივნის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი და შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება (შემცირება);
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

დათო გაბლიშვილი
სხდომის თავმჯდომარე